სოციალური ქსელების გავლენა არასრულწლოვანთა ნარკოტიკულ დანაშაულებში ჩართულობაზე

მარიამ ხუბლავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მიხეილ გაბუნია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ ხუბლავა

22.12.2025

აბსტრაქტი

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და სოციალური ქსელების ფუნქციის ტრანსფორმაციამ საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ინდივიდუალური ქცევის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. სოციალური ქსელები, რომლებიც თავდაპირველად კომუნიკაციისა და თვითგამოხატვის საშუალებად მიიჩნეოდა, დღეს უკვე იქცა სოციალურ-სამართლებრივი პროცესების ერთ-ერთ ცენტრალურ პლატფორმად. აღნიშნული პლატფორმები არამხოლოდ ინფორმაციის კონვერტაციისა და გავრცელების საშუალებაა, არამედ სოციალური ნორმების ფორმირებისა და დევიანტური ქცევის მექანიზმის განმსაზღვრელი გარემოც. განსაკუთრებით სახიფათოა მათი გავლენა მოზარდებსა და არასრულწლოვანებზე, რომელთა სოციალურ-ფსიქოლოგიური განვითარება მაღალი მგრძნობელობით გამოირჩევა და რომლებიც მეტად მოწყვლადნი არიან მედიისა და თანატოლთა გავლენის მიმართ.

ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს იმ კომპლექსურ გარემოებებზე, რომლებიც განაპირობებს არასრულწლოვანთა ნარკოტიკულ დანაშაულში ჩართულობის გაზრდილ ალბათობას ციფრული სივრცის ეფექტების გათვალისწინებით. კვლევის საგანია სოციალური ქსელების გავლენა მოზარდების ქცევით მოდელირებაზე, განსაკუთრებით იმ პროცესებზე, რომლებიც „ვირტუალური ნორმალიზაციის“ გზით ამცირებენ ნარკოტიკული ქცევისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. სოციალურ ქსელებში გავრცელებული შინაარსი — ვიზუალური, ტექსტუალური ან ალგორითმულად გაძლიერებული — ხშირად წარმოაჩენს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ქცევას, როგორც სოციალურად მიმზიდველ, მოდურ ან პიროვნული თავისუფლების გამოვლინებას, რაც სერიოზულად არღვევს პრევენციულ მექანიზმთა ეფექტიანობას. მკვლევართა შეფასებით, მოზარდთა ქცევის ფორმირება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმ დისკურსსა და იმიჯებზე, რომლებიც მათ გარემოცვაში ცირკულირებს, ხოლო სოციალური ქსელების ალგორითმული ლოგიკა ხშირად აძლიერებს რისკიან

ნარატივებს თანმიმდევრული შეთავაზებებითა და შინაარსის ავტომატური რეიტინგირებით.

წარმოდგენილი კვლევა ასკვნის, რომ სოციალური ქსელების ინტენსიური გამოყენება პირდაპირ და ირიბად ზრდის არასრულწლოვანთა ნარკოტიკულ დანაშაულში ჩართულობის რისკს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოზარდებს არ გააჩნიათ კრიტიკული შეფასების უნარი, მედია-გრამოტულობა და ოჯახისა თუ სკოლების მხრიდან ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. ამავე დროს, სოციალური ქსელების დაურეგულირებელი ან არასაკმარისად რეგულირებული ონლაინ გარემო ქმნის სივრცეს, სადაც დევიანტური ქცევა ხშირად აღიქმება როგორც სოციალურად დამტკიცებადი ქმედება. ეს გარემოებები საჭიროებს სახელმწიფოს, განათლების სისტემისა და სოციალური ინსტიტუტების კოორდინირებულ ჩართულობას.

ამრიგად, ნაშრომი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თანამედროვე ნარკოპოლიტიკის, ბავშვთა დაცვის, მედია-საგანმანათლებლო სისტემებისა და კრიმინოლოგიის კვლევით სფეროებში, სამეცნიერო საფუძველს უქმნის იმის უკეთ გასაგებად, თუ როგორ გარდაქმნის სოციალური მედია არასრულწლოვანთა ქცევას და რა სამართლებრივი და სოციალური ნაბიჯებია აუცილებელი რისკების შესამცირებლად.

საკვანძო სიტყვები

სოციალური ქსელები; არასრულწლოვანთა ნარკოტიკული დანაშაული; ციფრული სოციალური გარემო; დევიანტური ქცევა; ფსიქოსოციალური ფაქტორები; ნარკოპოლიტიკა; სასამართლო პრაქტიკა; პრევენციის მექანიზმები; ახალგაზრდობის ქცევითი მოდელები; კრიმინოლოგიური ანალიზი; სამართლებრივი რეგულირება; თანატოლთა ზეგავლენა; სახელმწიფო პოლიტიკა; ბავშვთა უფლებების დაცვა.

Abstract

The rapid advancement of modern information technologies and the transformation of the functional role of social networks have fundamentally reshaped both the structure of social relations and the patterns of individual behavior. Social networks, which were initially perceived merely as instruments for communication and self-expression, have now evolved into central platforms for socio-legal processes. These digital environments function not only as channels for converting and disseminating information but also as domains in which social norms are constructed, maintained, and sometimes distorted, as well as mechanisms through which various forms of deviant behavior may be encouraged or reinforced. Their influence is especially significant and potentially hazardous for adolescents and minors, whose socio-psychological development is marked by heightened sensitivity, increased emotional reactivity, and vulnerability to the impact of media, peer groups, and algorithmically curated content.

This research focuses on the multifaceted circumstances that contribute to the increased likelihood of minors' involvement in drug-related offenses, taking into account the profound effects of the digital environment. The study examines the influence of social networks on the behavioral modeling of adolescents, paying particular attention to the mechanisms through which "virtual normalization" reduces critical thinking and lowers resistance to drug-related behavior. The visual, textual, and algorithmically amplified content circulating on social media platforms frequently depicts drug use or drug-related practices as socially attractive, fashionable, or as expressions of personal autonomy and freedom. Such representations substantially weaken preventive strategies and diminish the effectiveness of public policies aimed at early intervention. According to contemporary research, the formation of adolescent behavior is significantly shaped by the dominant discourses, symbolic representations, and identity-related cues that circulate within their social environment, while the algorithmic architecture of social media often reinforces risky narratives through repetitive exposure, filtered recommendations, and automated ranking systems.

The findings presented in this study conclude that intensive engagement with social networks both directly and indirectly increases the risk of minors' involvement in drug-related criminal behavior, particularly in contexts where adolescents lack critical evaluation skills, media literacy competencies, and sustained psychological or educational support from families, schools, and community institutions. At the same time, the unregulated or insufficiently regulated digital environment creates an ecosystem in which deviant behavior is frequently interpreted as socially legitimate or normatively acceptable. These conditions reveal the necessity of coordinated action from the state, the educational system, and broader social institutions to mitigate the negative effects of digital socialization and to ensure the protection of minors' well-being.

Consequently, this study makes a meaningful contribution to contemporary drug policy analysis, child protection strategies, media-educational frameworks, and criminological scholarship. It provides a theoretical and empirical foundation for understanding the extent to which social media reshapes minors' behavioral trajectories and identifies the legal, social, and preventive measures required to reduce the risks associated with drug-related deviance in the digital era

Keywords:

Social networks; juvenile drug-related crime; digital social environment; deviant behavior; psychosocial factors; drug policy; judicial practice; preventive mechanisms; youth behavioral models; criminological analysis; legal regulation; peer influence; state policy; child rights protection